



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 04 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №219/18

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- 2018 წლის 22 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ნოემბრის №145/219-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- საჩივრის საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 25 დეკემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. ამასთან, საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლემ არ გადადო სხდომა და მხარეს არ მისცა შესაძლებლობა აეყვანა ადვოკატი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 27 ივნისს --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ---, მოპასუხე --- მიმართ, --- გამომძიებელ --- მიერ 2018 წლის 25 ივნისს შედგენილი შემაკავებელი ორდერის №-- გაუქმების მოთხოვნით.

--- სასამართლოს 2018 წლის 28 ივნისის განჩინებით (მოსამართლე ---) --- სარჩელი, მოპასუხე --- მიმართ, --- გამომძიებელ --- მიერ 2018 წლის 25 ივნისს შედგენილი შემაკავებელი ორდერის №-- გაუქმების თაობაზე მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში; საქმეში დაინტერესებულ პირად ჩაბმულ იქნა ---.

-- სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით (მოსამართლე ---) --- სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა --- მიერ 2018 წლის 25 ივნისს შედგენილი №-- შემაკავებელი ორდერი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- 2018 წლის 04 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის განკარგულების გაუქმების ნაწილში ცალკე წარმოებად გამოეყო საქმეს №--; -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის განკარგულების გაუქმების თაობაზე განსახილველად გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევადგინოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შევადგინოთ შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მიხედვით, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს - იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები პირს ანიჭებს სხვადასხვა სახის მატერიალურ-სამართლებრივ უფლების. ამასთან, მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვისა და ეფექტურად რეალიზაციის მიზნისათვის ყველა ადამიანისათვის გარანტირებულია სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაცია თავის მხრივ დაკავშირებულია მთელი რიგი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებასთან, რომლებიც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით. როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება პირს შეუძლია დამოუკიდებლად. თუმცა, ამ უფლებების ეფექტურად რეალიზაციისათვის,

შესაძლებელია ასევე სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირისათვის - წარმომადგენლისათვის მათი მინდობა. ამასთან, მარწმუნებლის საჭიროებიდან და სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმომადგენელს შეიძლება მიენიჭოს ამა თუ იმ მატერიალურ-სამართლებრივი ან საპროცესო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების ან ორივე მათგანის განხორციელების უფლებამოსილება.

დადგენილია, რომ საქმეზე -- სააპელაციო სასამართლოში ჩატარდა ერთი სხდომა, 19 ივლისს. აღნიშნულ სხდომაზე მხარემ იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადების თაობაზე. მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის მოსმენის შედეგად მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე. აღნიშნულის შემდეგ მხარემ იშუამდგომლა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. მოსამართლემ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ გამოაცხადა გადაწყვეტილება.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 22 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე

-- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 22 აგვისტოს №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე
-- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი